ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა: „...კაცს ტანი და აგებულება აქვს, რომელიც წვრთნითა და ვარჯიშით უნდა გაღონიერდეს, გაჯანსაღდეს, გამაგრდეს“.

ILIA ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე თვალსაჩინო საბჭოთა მწერლებთან ერთად მსოფლიოს 27 ქვეყნიდან ჩამოვიდნენ სტუმრები, რომელთა შორის არიან მწერლები, ცნობილი ქართველოლოგები, მთარგმნელები, გამომცემლები.

ილია ჭავჭავაძის 150 წლისთავს დიადი ეროვნული დღესასწაული უწოდა იტალიელმა ქართველოლოგმა ლუიჯი მაგაროტომ. ამ სიტყვებში არაფერია გადაჭარბებული. ილიასკენ, როგორც ერის სულიერი მოძღვრისკენ, საკუთარი გზით მიდიან თაობები. რაც დრო გადის, მით უფრო ახლობელი ხდება იგი თითოეული ჩვენგანისთვის.

თბილისში ზეიმზე ჩამოსულმა სტუმრებმა გუშინ მონაწილეობა მიიღეს საიუბილეო ღონისძიებებში. ისინი ავიდნენ მთაწმინდაზე მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში და პატივი მიაგეს საქართველოს დიდ შვილს — მემორიალი ყვავილებით შეამკეს.

ხალხის უდიდესი სიყვარულის გამოხატულებად იქცა ილია ჭავჭავაძის ბიუსტის გახსნა მისი სახელობის პროსპექტზე. ყალინინის ქუჩაზე რესტავრირებულ ძველ შენობაში კი ბინას დაიდებ დიდ მამულიშვილის მრავალმხრივი შეოქმედებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი კიდევ ერთი მემორიალური მუზეუმი.

22 ოქტომბერს მუშაობა დაამთავრა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციამ „თანამედროვე ცივილიზაციის ბედი და მსოფლიო ლიტერატურა“. კონფერენციაზე [illegible] ველ სიტყვა [illegible] სახელს, [illegible] მა მრტყარა [illegible] წყალზე [illegible] ლიტერატურათა წარმომადგენლებს.

გუშინ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სკ

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

24 ოქტომბერი, შაბათი, 1987 წ.
№ 203 (9615) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ბალი ბუქარესტში. „ვიქტორია“ (ბუქარესტი) — „დინამო“ (თბილისი). იხ. მე-3 გვ.

მთამსვლელთა ნაპოვნი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ტრადიციული, 44-ე ალპინიადის მონაწილე თანრიგოსან სპორტსმენთა რაზმი, რომელსაც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი შ. მირიანაშვილი ხელმძღვანელობდა, დიდი ილია ჭავჭავაძის იუბილესთან დაკავშირებით 18 ოქტომბერს ავიდა 3800 მეტრ სიმაღლეზე მყინვარწვერის ფერიალო-კლდეში გამოკვეთილ ბეთლემის გამოქვაბულში, 19 ოქტომბერს განახორციელა ასვლა მყინვარწვერზე, ხოლო მეორე დღეს მიაკვლია ახალ გამოქვაბულს, რომელიც ბეთლემის გამოქვაბულიდან დაახლოებით 250-300 მეტრზე იმავე შვეულ ედლებშია გამოკვეთილი.

ახლადნაპოვნი გამოქვაბული ბეთლემის მღვიმეზე უფრო დიდია და, როგორც ექსპედიციის მონაწილენი ვარაუდობენ, X-XII საუუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს.

გამოქვაბულის აღმომჩენ უნივერსიტეტის მთამსვლელებთან ერთად ყვნენ ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, თანამშრომელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთამსვლელთა სექციის წევრი თ. ოკლური, ყაზბეგის მეტეოსადგურის თანამშრომლები და პროფესორი ნ. ნათაძე.

(საქინფორმი).

პამირისა და ფანების მთიანეთში

სამწლიანი შესვენების შემდეგ ქართველი მთამსვლელები კვლავ ეწვივნენ პამირს. ექსპედიციის მიზანი ჩვენი ქვეყნის სიმაღლით მესამე მწვერვალის, ლენინის პიკის (7134 მ.) დალაშქვრა იყო. ამ მწვერვალზე საქართველოს ექსპედიცია 1960 წლის შემდეგ არ ყოფილა. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი სასიმაღლო ალპინიზმის საკავშირო

ლენინის პიკი. მირიან სერებრიაკოვის ფოტო.

მასშტაბით ბოლო წლებში ძალზე პოპულარული გახდა. ამიტომაც სწორედ ამ ექსპედიციის წევრებს უნდა შეედგინათ ბირთვი მოსიმაღლე მთამსვლელთა ჩვენი გუნდისა, რომელიც სათანადო გამოცდილების შეძენის შემდეგ უფრო მნიშვნელოვან ასვლებს განახორციელებდა.

ჩვენმა მთამსვლელებმა ასასვლელად მწვერვალის ჩრდილო ფერდობი აირჩიეს, რომელზეც მარშრუტი „ლიპკინის მთის“ გავლით იწყება და უფრო საინტერესოა, ვიდრე კლასიკური მარშრუტი მწვერვალ „რაზდელნაიას“ გავლით.

29 ივლისს ლენინის მყინვარის ბოლო წერტილში, ზღვის დონიდან 3600 მეტრ სიმაღლეზე მოეწყო საბაზო ბანაკი. უნდა ითქვას, რომ ეს ადგილი მოსიმაღლე მთამსვლელთა დიდი მოწონებით სარგებლობს. მარტო წელს აქ თავი მოიყარა სხვადასხვა რესპუბლიკის რამდენიმე ათეულმა ექსპედიციამ. აქვე მოეწყო მუდმივმოქმედი საერთაშორისო ალპინისტური ბანაკიც, რომელიც ყოველწლიურად პამირის უმაღლესი მწვერვალების დასალაშქრად ჩამოსულ ასობით უცხოელ მთამსვლელებს ღებულობს.

მთამსვლელებს ორი სააკლიმატიზაციო გასვლა ჰქონდათ — 6100 მ. სიმაღლეზე კარვები და სასიმაღლო პროდუქტები აიტანეს, მოაწყვეს სასიმაღლო ბანაკი — თოვლში გამოქვაბული გამოთხარეს და ღამე იქ გაათენეს და მეორე დღეს დაეშვნენ. 11 ივლისს მთამსვლელთა 9 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი საბაზო ბანაკიდან მწვერვალზე იერიშის მისატანად გავიდა. გასვლის წინ ამინდი გაუარესდა, დროდადრო თოვდა. მწვერვალის ძირას, 4200 მ. სიმაღლეზე ღამის გათენების შემდეგ მთამსვლელებმა ერთ დღეში დასძლიეს 2-კილომეტრიანი სიმაღლე და 6100 მ-ზე მდებარე სასიმაღლო ბანაკს მიაღწიეს. ეს გზა უძნელესი აღმოჩნდა — განუწყვეტლივ თოვდა, თოვლიანი ფერდო-

იხ. მე-2 გვ.

შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი

29 ოქტომბერს თბილისში ჭადრაკის სასახლეში იწყება მოჭადრაკე ქალთა სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალური ასპარეზობის შეხვედრები. შეიქმნა ამ ასპარეზობის მზადებისა და ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ნათელა ლაღიძე.



სურათზე: გამარჯვებული ოთხეული — როინ სომხიშვილი, თამაზ მღებრიშვილი, თამაზ ბუზიაშვილი, აკაკი საბაშვილი.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

ელვა-ინფორმაცია

სევილიაში განახლდა ჭადრაკში მსოფლიო პირველობისათვის კასპაროვ-კარპოვის მატჩი. გუშინ მეტოქეები კვლავ მიუსხდნენ საჭადრაკო მაგიდას. თეთრი ფიგურებით თამაშობდა მსოფლიოს ექსჩემპიონი.

მოსკოვში გუშინ ჩამოვიდა დასავლეთგერმანულ კლუბ „ვერდერის“ ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც დღეს მეთექვსმეტედფინალურ მატჩს გამართავს მოსკოვის „სპარტაკთან“. თამაში თბილისის დროით 20 საათზე დაიწყება.

თბილისში, „შრომითი რეზერვების“ სპორტული კომპლექსის არენაზე დამთავრდა საქართველოს პირველობა და რესპუბლიკის მეორე ახალგაზრდული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება აკრობატიკაში. წერილს ამ შეჯიბრების შესახებ მალე შემოგთავაზებთ.

ფლეიბოლი — ოქროსფერი

ამსტერდამი. საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშე ვალერი ნაკრებმა მოიგო მსოფლიოს, გუნდური ჩემპიონატი. მან შეჯიბრებაში 589,75 ქულა დააგროვა. მომდევნო ადგილებზე ჩინეთის (583,35) და გდრ-ის (582,80) ტანმოვარჯიშეები გავიდნენ. გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: დიმიტრი ბილოზერჩევი, ალექსი ტიხონკინი, ვლადიმერ ნოვიკოვი, ვალერი ლიუკინი, ვლადიმერ არტიომოვი და იური კოროლიოვი.

თბილისქალაქობის ზეიმს მუდამ ამშვენებს სპორტული ასპარეზობები, გამონაკლისი არც ახლანდელი დღესასწაული იქნება

თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა, პროფკავშირების ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საქალაქო საბჭომ და „დინამოს“ რესპუბლიკურმა საბჭომ 25 ოქტომბერს დედაქალაქის თითქმის ყველა უბანში დაგეგმეს სპორტული ღონისძიებები. ასპარეზად იქცევა აერთვე ზეიმის ერთ-ერთი მთავარი ეპიცენტრი—რიყის ტერიტორია, სადაც თავიანთ სიჩაუქეს გვიჩვენებენ ქართული ჭიდაობისა და მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატები, იქვე გაიმართება შეჯიბრებები აკრობატიკაში და ბატუტზე ხტომაში, სიმძიმეების აწევაში, ერთდროულ სეანს გამართავენ ცნობილი მოჭადრაკეები, მეტეხის კლდეზე ვიხილავთ ასპარეზობას მეკლდეურობაში. მტკვარზე კი ნიჩბოსნების საჩვენებელ გამოსვლებს დავესწრებით. ღონისძიებები დაიწყება 10 საათზე.



სპორტის სასახლე უმასპინძლებს ჩოგბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ძალოსნობის, ჭადრაკის მოყვარულებს, იქვე შეგიძლიათ ჩაბაროთ მშდ ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივები. დასაწყისი 11 საათზე.

პროფკავშირული ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საქალაქო საბჭო თბილისის ყველა რაიონში ჩაატარებს სპორტულ და მასობრივ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს მოსახლეობის მონაწილეობით, პროგრამაში შედის სპორტის კლასიკური და ეროვნული სახეობები, ხალხური თამაშები. ჩამოთვლით მთავარ ცენტრებს: **კულტურისა და დასვენების პარკები, „დინამოს“ სტადიონი, თბილისის ზღვა, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სპორტული ბაზები, ეთნოგრაფიის მუზეუმის ტერიტორია...** ღონისძიებები 11 საათზე დაიწყება და დღის ბოლომდე გაგრძელდება.

კვირას, 11 საათზე, დილიდან რეკონსტრუქციის შემდეგ საზეიმოდ გაიხსნება „ავაზას“ სტადიონი. იქვე გაიმართება საფეხბურთო მატჩები.

ᲞᲐᲛᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲘᲐᲜᲔᲗᲨᲘ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

ᲑᲔᲑᲘ ᲖᲕᲐᲕᲘᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲦᲠᲛᲐ ᲗᲝᲕᲚᲨᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡᲘᲡᲐᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲡᲘᲤᲠᲗᲮᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲔᲜᲐ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ. 13 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, ᲗᲝᲛᲡᲛᲒᲚᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲑᲐᲜᲐᲙᲘ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲥᲔᲓᲘᲡ, 6400 Მ. ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲘᲢᲐᲜᲔᲡ, ᲡᲐᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲕᲘᲓᲜᲔᲡ. ᲐᲛᲘᲜᲓᲘ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲐᲠᲐᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲫᲚᲔᲠᲘ ᲞᲘᲠᲥᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐᲓᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲦᲠᲛᲐ ᲗᲝᲕᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲡᲘᲡᲐ ᲐᲤᲠᲮᲔᲑᲓᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲛᲐᲛᲡᲕᲚᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲣᲙᲐᲜ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲮᲘᲔᲡ ᲓᲐ 14 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ 20 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲐᲡᲔᲗ ᲪᲣᲓ ᲐᲛᲘᲜᲓᲨᲘ ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲖᲔ (7134Მ.) ᲐᲕᲘᲓᲜᲔᲡ: ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲒᲣᲯᲐᲑᲘᲫᲘ (ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ), ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲘ ᲑᲔᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲔᲠᲐᲑ ᲜᲔᲛᲡᲘᲬᲕᲔᲠᲘᲫᲔ, ᲛᲘᲠᲘᲐᲜ ᲡᲔᲠᲒᲔᲑᲠᲘᲐᲙᲝᲕᲘ, ᲗᲐᲛᲐᲖ ᲨᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ. ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲨᲕᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲜᲘᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲬᲕᲐ, ᲗᲐᲜᲐᲪ ᲣᲙᲕᲔ ᲦᲐᲛᲔᲑᲝᲓᲐ. ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲐᲡᲔᲗ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲬᲕᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲛᲗᲐᲛᲡᲕᲚᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲦᲐᲛᲔ ᲗᲝᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲐᲑᲣᲚᲨᲘ ᲒᲐᲐᲗᲔᲜᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲮᲘᲔᲡ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔ ᲡᲐᲛᲐᲡᲛᲔᲢᲠᲘᲐᲜᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲓᲐᲡᲢᲐᲠᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲪ ᲣᲙᲣᲓᲐᲥᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲭᲝᲜᲔ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲓᲐᲛᲐᲚᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲞᲐᲠᲘ ᲐᲚᲐᲠᲓᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ. ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲦᲔ ᲐᲚᲞᲘᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲚᲐᲠᲓᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲤᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲥᲐᲮᲘᲐᲜ. ᲐᲥ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲔᲑᲘ: ᲩᲐᲠᲓᲐᲠᲐ, ᲑᲝᲚᲮᲝᲜᲐ, ᲩᲘᲛᲢᲐᲠᲒᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ. 24 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ — ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲛᲓᲔ 10 ᲓᲦᲔᲗ ᲐᲓᲠᲔ ᲔᲥᲡᲞᲔᲓᲘᲪᲘᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲥ ᲓᲐᲑᲐᲜᲐᲙᲓᲐ. ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲘᲡ ᲡᲘᲫᲚᲔᲚᲘᲡ ᲐᲡᲕᲚᲔᲑᲘ ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲨᲘᲪ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲡ: ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲒᲣᲯᲐᲑᲘᲫᲘ, ᲕᲐᲜᲐ ᲕᲐᲨᲐᲧᲛᲐᲫᲘ, ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ, ᲛᲔᲠᲐᲑ ᲜᲔᲛᲡᲘᲬᲕᲔᲠᲘᲫᲔ, ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲐᲑᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲐᲚᲐᲖ ᲪᲘᲠᲔᲙᲘᲫᲔ, �თᲝᲠᲜᲘᲙᲘ ᲑᲔᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲔᲚᲐ ᲡᲣᲚᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲑᲐᲜᲐᲙᲘ 5200 Მ. ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔᲖᲔ.

ᲠᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲔᲨᲕᲜᲔᲜ. 16 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ᲗᲛᲗᲐᲛᲡᲕᲚᲔᲚᲔᲑᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲡᲐᲑᲐᲖᲗᲐ ᲑᲐᲜᲐᲙᲨᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑ �გᲣᲜᲓᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲐᲥᲕᲔ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲞᲘᲙᲖᲔ ᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲠᲛᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲗᲛᲗᲐᲛᲡᲕᲚᲔᲚᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ �გᲣᲜᲓᲘᲪ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲛᲐᲗᲐᲪ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲚᲐᲨᲕᲠᲔᲡ ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲘ ᲧᲝᲠᲒᲘᲝᲜᲘ ᲐᲓᲒᲝᲛᲐᲠᲗᲐ ᲩᲐᲓᲐᲠᲒᲐ ᲐᲚᲐᲣᲓᲔᲜᲘᲡ ᲢᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ — ᲞᲐᲛᲘᲠ-ᲐᲚᲐᲘᲡ ᲛᲗᲘᲐᲜᲔᲗᲨᲘ, ᲖᲔᲠᲐᲕᲨᲐᲜᲘᲡ ᲥᲔᲓᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲐᲚᲞᲘᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲢᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲓᲐᲛᲝᲔᲑᲨᲘ. ᲐᲛ ᲠᲐᲝᲜᲡ ᲐᲚᲞᲘᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲤᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲥᲐᲮᲘᲐᲜ. ᲐᲥ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲔᲑᲘ: ᲩᲐᲠᲓᲐᲠᲐ, ᲑᲝᲚᲮᲝᲜᲐ, ᲩᲘᲛᲢᲐᲠᲒᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ. ᲛᲔ-5-Ბ ᲡᲘᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ ᲓᲐᲔᲨᲕᲐ.

ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲨᲔᲘᲠᲩᲐ ᲛᲝᲘᲔᲠᲘᲨᲔ ᲯᲒᲣᲤᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪ ᲒᲐᲔᲛᲐᲠᲗᲐ ᲩᲐᲓᲐᲠᲖᲔ (5297 Მ.). ᲔᲡ ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲣᲫᲜᲔᲚᲔᲡᲐᲓ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ. ᲣᲠᲗᲣᲚᲔᲡᲘ ᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲔᲡ ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲘ ᲣᲨᲕᲐᲡ ᲛᲝᲒᲕᲐᲒᲝᲜᲔᲑᲡ. ᲛᲔ-5-Ბ ᲡᲘᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ ᲓᲐᲔᲨᲕᲐ.



ᲑᲐᲜᲐᲙᲘ 6100 Მ. ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔᲖᲔ.

ᲐᲛ ᲐᲡᲚᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲝᲠᲛᲐ ᲗᲛᲗᲐᲛᲡᲕᲚᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲛᲘᲗᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘ — ᲞᲐᲛᲘᲠ-ᲐᲚᲐᲘᲡ ᲛᲗᲘᲐᲜᲔᲗᲨᲘ, ᲖᲔᲠᲐᲕᲨᲐᲜᲘᲡ ᲥᲔᲓᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲐᲚᲞᲘᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲢᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲓᲐᲛᲝᲔᲑᲨᲘ. ᲐᲛ ᲠᲐᲝᲜᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲦᲔ ᲐᲚᲞᲘᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲧᲘᲜᲣᲚᲖᲔ ᲛᲝᲛᲠᲐᲝᲑᲓᲜᲔᲡ. 11 Ა�გᲘᲡᲢᲝᲡ, 15 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲩᲐᲠᲓᲐᲠᲘᲡ ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲖᲔ ᲘᲓᲒᲐ. ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲘᲓᲐᲜ ᲙᲘ ᲛᲔ-5-Ა ᲡᲘᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ ᲓᲐᲔᲨᲕᲐ.

ᲐᲛ ᲐᲡᲚᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲝᲠᲛᲐ ᲗᲛᲗᲐᲛᲡᲕᲚᲔᲚᲐ: ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲘ ᲑᲔᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲛᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲚᲐ ᲡᲣᲚᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲛᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ. ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲩᲐᲓᲐᲠᲓᲐ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲐᲚᲐᲣᲓᲘᲜᲘᲡ ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲖᲔ. ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲗᲝᲕᲚᲘᲡ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲘᲛᲐᲒᲠᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲚᲞᲘᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲧᲘᲜᲣᲚᲖᲔ ᲛᲝᲛᲠᲐᲝᲑᲓᲜᲔᲡ. 11 ᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ, 15 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲩᲐᲠᲓᲐᲠᲘᲡ ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲖᲔ ᲘᲓᲒᲐ. ᲛᲬᲕᲔᲠᲕᲐᲚᲘᲓᲐᲜ ᲙᲘ ᲛᲔ-5-Ა ᲡᲘᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ ᲓᲐᲔᲨᲕᲐ.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲧᲘᲜᲕᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲓᲒᲝᲛᲔᲑᲗᲐᲜ.

ᲒᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲝᲠᲛᲐ (ᲐᲠᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲬᲘᲑᲝ) ᲡᲝᲛᲐᲦᲚᲔᲗᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲮᲕᲐᲛᲑᲘᲗ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲐ, ᲗᲐᲜᲐᲪ 1500 ᲛᲔᲢᲠᲘ ᲙᲔᲓᲚᲝᲕᲐᲜ ᲜᲐᲬᲘᲚᲖᲔ ᲛᲝᲓᲘᲡ, ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜ 900 ᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲙᲘ ᲓᲐᲮᲠᲘᲚᲘ ᲗᲝᲕᲚ-ᲧᲘᲜᲣᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲤᲘᲠᲓᲠᲑᲘ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ. ᲛᲝᲘᲔᲠᲘᲜᲨᲘ ᲯᲒᲣᲤᲨᲘ ᲨᲔᲕᲘᲓᲜᲔᲡ: ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲒᲣᲯᲐᲑᲘᲫᲘ (ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ), ᲕᲐᲜᲐ ᲕᲐᲨᲐᲧᲛᲐᲫᲘ, ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲘ ᲑᲔᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲔᲚᲐ ᲡᲣᲚᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲘᲛᲘᲓᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲨᲔᲣᲤᲡᲝᲕᲓᲔᲗ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲛᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘ

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

მატჩის ბედი დებიუტში გადაწყდა

„ვიქტორია“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — „დინამო“ (თბილისი, სსრკ) 1:2 (0:2).

ბუქარესტი. „დინამოს“ სტადიონი. 22 ოქტომბერი. 16.000 მაყურებელი.

„ვიქტორია“: როტერესკუ, კომენესკუ, ტოპოლინსკი, აუგუსტინი, ურსუ, შირია, ვაიშკოვიჩი, კოფოკარუ, კაჩურიაკი (იორდაკე, 74), ენე, ხენზელი (ცელნარი, 46).

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჰედია (ქეცბაია, 72), არზიანი, რევიშვილი, ცვეიბა, სულაქველიძე, კორღალიძე, გურული, შენგელია.

მსაჯები: მ. რესნერი, გ. აუმი, ვ. ჰენინგი (ყველა — გდრ).

გააფრთხილეს: ტოპოლინსკი, კომენესკუ, ენე, ცვეიბა.

მატჩის შემდეგ „ვიქტორიას“ მწვრთნელი დიმიტრუ ნიკოლაე-ნიკუშორი თავაზიანად დათანხმდა შეხვედროდა საქართველოს ჟურნალისტთა ჯგუფს. შინ წაგებული ასეთი რანგის თამაშის შემდეგ, ცხადია, ძნელია წარსდგე ჟურნალისტების წინაშე და, მაინც, მწვრთნელმა საკმაო დრო დაგვითმო და არც მისთვის უსიამოვნო შეკითხვების პასუხისთვის აურიდებია თავი.

— „დინამომ“ ჩვენზე უკეთ ითამაშა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა. ასეთ დასაწყისს არ მოველოდით. ჯერ პირველმა, შემდეგ მეორე გოლმა ყველაფერი ჩაგვიშალა, გუნდი დეპრესიულ სიტუაციაში აღმოჩნდა. „დინამოს“ კარში პენალტით გატანილი გოლის შემდეგ კი, როცა „ვიქტორია“ გონს მოეგო, საკმარისი დრო აღარ დაგვრჩა ანგარიშში სხვაობის შემცირებისათვის. სამწუხაროდ, ვერ გამოვიყენეთ შეტევის შედეგიანად დამთავრების ორი კარგი შესაძლებლობა. დებიუტის ეტაპზე გატანილი ის ორი გოლი რომ არა, სულ სხვა თამაში იქნებოდა. — თქვა ნიკოლაუ-ნიკუშორმა.

მატჩისწინა ატმოსფერო საკმაოდ დაძაბული იყო. რუმინელ გულშემატკივრებს და იმ ოფიციალურ პირებს, ვისთანაც კი ურთიერთობა გვქონდა, ეშვი არ ეპარებოდათ, რომ „ვიქტორია“ შინ უთუოდ მოიგებდა შეხვედრას. ასევე დაჯერებული იყვნენ ისინი „სტიაუას“ გამარჯვებაში და გაუმართლათ კიდეც. „ვიქტორია“ ქვეყნის ჩემპიონატში ახლა მეოთხე ადგილზეა, მას შესანიშნავი ფეხბურთელები ჰყავს, ეს ფაქტიც თავისთავად ბევრს მეტყველებს. 20-ათასიანი სტადიონი, მართალია, მთლიანად არ შეივსო (მატჩს ესწრებოდა 16 ათასი კაცი), მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ნაკლები იყო მატჩისადმი დაინტერესება. აქ სხვა რამ იყო მნიშვნელოვანი — ბილეთი საკმაოდ ძვირი ღირს, ამას დაუმატეთ ასევე ძვირადღირებული საგანგებოდ გამოცემული ფერადი ნაბეჭდი პროგრამა, მატჩისადმი მიძღვნილი სამახსოვრო ვიმპელი, „ვიქტორიას“ ასევე ფერადი ფოტო... ყველაფერი ეს კლუბს სოლიდურ შემოსავალს აძლევს, ბილეთს კი ცალკე ამ ატრიბუტების გარეშე არ ყიდიან. ნაღდ გულშემატკივრებს სხვა გზა არა აქვთ, ყველაფერი ეს უნდა შეიძინონ, მით უმეტეს, როგორც წესი, რუმინეთში არც ერთ მატჩს არ გადასცემენ ტელევიზიით, აქაური ტელევიზია დღეში სულ მხოლოდ 2,5 საათს მუშაობს.

ჟურნალისტები დინამოელების გვერდით ვიყავით თამაშის დაწყებამდე. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ბიჭებს წარმატების რწმენა ჰქონდათ და ეს აშკარად იგრძნობოდა მათს განწყობაში. ის კი არა, ჰედია მთელი დღე ირწმუნებოდა, რომ ერთ გოლს აუცილებლად გაიტანდა. უფროსმა მწვრთნელმა გერმან ზონინმა მინდორზე გასვლის წინ ბიჭებს მოკლედ უთხრა: ბურთს, ბურთს, გაუფრთხილდითო. მართლაც, ყველამ ვნახეთ, „დინამომ“ ეს თამაში ტექნიკურად ძალზე წიგნიერად ჩაატარა და ყველაზე ნაკლები შეცდომა ჰქონდათ გადაცემებში.

რა იყო დინამოელთა კოზირი ამ მატჩში? კოლექტიური თამაში, დახვეწილი ტექნიკა, თითოეული ფეხბურთელი ზუსტად ასრულებდა თავის ფუნქციას. მატჩის შემდეგ გზონინი იტყვის: „მე ვერავის გამოვყოფ. მთელმა გუნდმა შესანიშნავად, ტექნიკურად, ტაქტიკურად აზრიანად ითამაშა (სხვათა შორის, იგივე გვითხრა ჩვენს გუნდზე „ვიქტორიას“ მწვრთნელმაც). ბიჭებმა დაძაბულ პირობებში ყველაფერი გააკეთეს წარმატებისთვის. კარგად გამოიყენა გუნდმა სტანდარტული მდგომარეობა, როცა კუთხურიდან ჩამოწოდებული ერი გოლი გავიდა მეტოქის კარში“.

...მიმდინარეობდა მე-3 წუთი, „დინამომ“ სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყო თავის საჯარიმო მოედნიდან, რომელიც ჰედიამ „ვიქტორიას“ კარში ძლიერი დარტყმით დასრულა. მეკარემ კუთხურზე მოიგერია ბურთი. ეს კუთხური კორღალიძემ ზუსტად ჩამოაწოდა, ბურთს მაღალ ნახტომში ისევ ჰედია მიწვდა — ულამაზესი გოლი! მე-20 წუთი. მეორე კუთხური. კვლავ კორღალიძის მოწოდება, მცველებთან საჰაერო დუელი ამჯერად გურულმა მოიგო, შემდეგ ბურთს შენგელიამ მისცა გეზი კარისკენ— 2:0.

ასეთი დებიუტის შემდეგ მეტოქეებმა, ბუნებრივია, თამაშის ტაქტიკა უნდა შეცვალონ, რაც სტუმრებმა უკეთ შეძლეს. „დინამო“ დამაჯერებლად, დინჯად აკონტროლებდა თამაშის პულსს და კონკრეტული სიტუაციის შესატყვისად არეგულირებდა მის მსვლელობას. გუნდმა მეტოქე თამაშის ორგანიზაციით დაჯაბნა, არ მისცა შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალება. კარგად ითამაშა ჩვენმა დაცვამ ჩივაძის ხელმძღვანელობით. უშეცდომოდ ჩაატარა მატჩი მეკარე გაბელიამ. დაძაბულ ვითარებაში მეტოქე არაფერს ერიდებოდა. ვ. გუცაევმა ჯერ კიდევ წინა დღით გვითხრა, რომ რუმინელი ფეხბურთელები ძალიან ხისტად და უხეშად თამაშობენო. ასეც იყო. არა მარტო ბურთისთვის ბრძოლაში, უბურთოდაც ძალზე მწვავდებოდა სიტუაციები. ამას დაუმატეთ მაყურებლის დაჟინებული ზემოქმედება მსაჯზე, ფეხბურთელთა სიმულიაცია (ერთ-ერთ მომენტში, როცა დინამოელთა ექიმი ზ. თელია ჩვენი ფეხბურთელის დასახმარებლად მოედანზე შევიდა, მეტოქე გუნდის წევრი წინ ჩაუდგა, თელიამ ხელით აგრძნობინა გვერდზე გადეჭიო და... ის ფეხბურთელი მოედანზე გაიშხლართა, ზეზეურ წამოდგა, ვიდრე „სამედიცინო დახმარება“ არ აღმოუჩინეს. არბიტრმა დინამოელთა ექიმს გასახდელისკენ მიუთითა).

მსაჯმა ჯანსაღი გადაწყვეტილება მიიღო მაშინაც, როცა ძალზე საეჭვო პენალტი დანიშნა დინამოელთა კარში. არბიტრზე აშკარა ზეგავლენა მოახდინა მინდორზე და ტრიბუნებზე შექმნილმა დაძაბულმა ატმოსფერომ. გოლის გატანის შემდეგ მასპინძელთა უხეშობა არ შეწყვეტილა, მსაჯი მხოლოდ ამის შემდეგ გახდა იძულებული მოწოდების სიმაღლეზე დამდგარიყო. თბილისელებს ამ გამარჯვებით შინ განმეორებით მატჩში წარმატების საუკეთესო შესაძლებლობა გაუჩნდათ.

„ვიქტორიას“ მწვრთნელმა ჩვენთან საუბარში, როცა მომავლის გეგმებზე ჩამოვარდა სიტყვა, არაორაზროვნად თქვა: წავაგეთ, მაგრამ წავაგეთ ერთი მატჩი, ასე რომ, ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულაო. იგივე აზრი გაატარა ჩვენთან საუბარში დინამოელთა მწვრთნელმაც. მატჩის შემდეგ დინამოელები თბილისელმა და ადგილობრივმა გულშემატკივრებმა ტაშით გააცილეს შინდვრიდან, სტადიონის გასასვლელთან კი დინამოელთა ავტობუსს უამრავი რუმინელი გულშემატკივარი ელოდებოდა, ბევრნი გამარჯვებას ულოცავდნენ ჩვენს გუნდს.

აეროპორტიდან თბილისის „დინამო“ სამშობლოში რუმინეთში სსრკ კავშირის საელჩოს წარმომადგენლებმა გააცილეს, მატჩის წინა დღეს კი თვით საელჩოში გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ჩვენს ფეხბურთელებს.

თენგიზ გაჩეჩილაძე,
„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი.
ბუქარესტი — თბილისი.

P.S. **გუშინ, დილიდანვე გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ შენობის ვიტრინასთან უამრავი ხალხი იყრიდა თავს. აქ გამოფენილი იყო ბუქარესტში დინამოელთა წინა დღის მატჩის ამსახველი ფოტოსურათები. ეხეც ერთი სიკეთეა, რაც გუნდთან ერთად მატჩზე ჟურნალისტების გამგზავრებას მოჰყვა. საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია მადლობას უხდის საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ახალგაზრდობის საერთაშორისო ტურიზმის „სპუტნიკის“ ხელმძღვანელობას მატჩზე რესპუბლიკის მახობრივი ინფორმაციის წარმომადგენელთა გამგზავრებაში ხელშეწყობისთვის.**

ბუქარესტი. „დინამოს“ სტადიონი. ლშემატკივრები.

თამაშის მომენტი. (მალხაზ დათიკაშვილის ფოტო).

„ვიქტორია“ — „დინამოს“ მატჩისთვის საგანგებოდ გამოცემული პროგრამა და ვიმპელი.

21 და 22 ოქტომბერს გაიმართა ევროპის საკლუბო ტურნირების II წრის პირველი ტურის შეხვედრები ფეხბურთში.

მინსკის დინამოელებმა თასების მფლობელთა თასზე ესპანეთის ქალაქ სან-სებასტიანში ითამაშეს ადგილობრივ „რეალ-სოსიედადთან“. „ატოჩას“ სტადიონზე მიღწეული ფრე (1:1) თავისთავად იმის გარანტიას იძლევა, რომ საპასუხო მატჩის შინ წარმატებით ჩატარების შემდეგ მინსკის გუნდი გათამაშების შემდგომ ეტაპზე გავა.

დინამოელებმა უკვე მე-5 წუთზე შეძლეს ბურთის გატანა (კონდრატიევი), გუნდი ამის შემდეგ მეტი სითამამით, აქტიურად და მონდომებით იბრძოდა და ესპანელებმა მხოლოდ თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე შეძლეს ანგარიშის გათანაბრება (გახატე).

გაცილებით უფრო რთული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა მოსკოვის „დინამო“, რომელმაც უეფა-ს თასზე ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში, „ნოუ კამპის“ სტადიონზე, წაგო ცნობილ „ბარსელონასთან“ — 0:2.

ეს ორი გოლი მასპინძლებმა პირველ ტაიმში გაიტანეს (ამარილიო, შუსტერი), შესვენების შემდეგ მოსკოველთა დაცვა საიმედოდ თამაშობდა და „ბარსელონაც“ ამ ორ გოლს დასჯერდა.

ანგარიში 0:2 საკმაო ფორაა, მაგრამ, ვფიქრობთ, მოსკოვის „დინამოს“ არ დაუკარგავს შანსი იბრძოლოს საპასუხო მატჩში წარმატების მისაღწევად.

ევროპის გაზეთები, როგორც ყოველთვის, დიდ ადგილს უთმობენ საკლუბო ტურნირების განვლილ შეხვედრებს. მიმომხილველები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ მადრიდის „რეალის“ სიძლიერეებს ჩემპიონთა თასის სტარტზე. მადრიდელთა პირველი მეტოქე იტალიის „ნაპოლი“ იყო, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის დ. მარადონას გუნდი, ახლა კი პორტუგალიის „პორტო“ — ჩემპიონთა თასის შარშანდელი მფლობელი. მადრიდელებმა თავიანთ მინდორზე მხოლოდ ანგარიშით 2:1 დაამარცხეს „პორტო“, ამასთან მატჩი მიმდინარეობდა მადრიდიდან 300 კილომეტრის დაცილებით, ვინაიდან სანტიაგო-ბერნაბეუს სახელობის სტადიონი, სადაც ჩვეულებრივ „რეალი“ თამაშობს, უეფა-ს მიერ დისკვალიფიცირებულია. ეს იყო მეტად დაძაბული, მძიმე მატჩი, 58-ე წუთზე დაწინაურდნენ პორტუგალიელები და მხოლოდ ბოლო 10 წუთის მანძილზე მიეცათ მადრიდელებს მატჩის გადარჩენის საშუალება. საპასუხო ბურთი სანჩესმა გაიტანა, ბოლო წუთზე კი მცველმა სანჩესმა გადამწყვეტი ბურთი მოათავსა მეტოქის კარში.

ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ყურადღებას იპყრობს მიუნხენის ცნობილი „ბაიერნის“ (გფრ) მარცხი ხტუმრად შვეიცარიის „ზსამაქსთან“ — 1:2. რა თქმა უნდა, სპასუხო მატჩში, შინ, „ბაიერნი“ თავის შანსს არ დაკარგავს, მაგრამ შვეიცარიის ამ ერთობ ორდინარულ გუნდთან დამარცხება, მაინც, სიურპრიზების კატეგორიას მიეკუთვნება.

თასების მფლობელთა თასის ტურნირში საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ჰამბურგისა“ და ჰოლანდიის „აიაქსის“ შეხვედრა. მართალია, ორივე ეს კლუბი ევროპის საფეხბურთო ელიტას მიეკუთვნება, მაგრამ „ჰამბურგის“ მარცხი საკუთარ მინდორზე (0:1) მაინც გარკვეული მოულოდნელობაა.

უეფა-ს თასზე ასევე ნაკლებად მოელოდნენ, რომ შოტლანდიის „დანდი იუნაიტედი“ შინ წააგებდა ჩეხოსლოვაკიის „ვიტკოვიცესთან“, რომ იტალიის ცნობილი „მილანი“ ასევე საკუთარ სტადიონზე დამარცხდებოდა ესპანეთის „ესპანიოლთან“. არის სხვა მოულოდნელი შედეგებიც. მაგალითად, სრულიად მოულოდნელი იყო იტალიის საყოველთაოდ ცნობილი „ინტერის“ მარცხი საკუთარ ქალაქში, მილანში, უეფა-ს თასზე ფინეთის „ტურუნ პალოსეურასთან“ შეხვედრაში—0:1. ეს ერთადერთი ბურთი ანტონენმა მე-11 წუთზე გაიტანა, დარჩენილი 79 წუთის მანძილზე „ინტერი“ ბევრს ეცადა, მაგრამ ვერაფერი გააწყო ფინელთა დაცვასთან. ყოველივე ამის შემდეგ II წრის საპასუხო მატჩები, რომლებიც 4 ნოემბერს გაიმართება, კიდევ უფრო მეტ ინტერესს იწვევს.

ფთავაზობთ სამივე ტურნირის განვლილ შეხვედრათა შედეგებს:

ჩემპიონთა თასი

მერვედფინალი, I ტური

„ჭსამაქსი“ (შვეიცარია) — „ბაიერნი“ (გფრ) 2:1

„რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — „პორტო“ (პორტუგალია) 2:1

„ლილესტრომი“ (ნორვეგია) — „ბორდო“ (საფრანგეთი) 0:0

„ორხუსი“ (დანია) — „ბენფიკა“ (პორტუგალია) 0:0

„გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) — „გურნიკი“ (პოლონეთი) 3:1

„სპარტა“ (ჩეხოსლოვაკია) — „ანდერლეხტი“ (ბელგია) 1:2

„რაპიდი“ (ავსტრია) — „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია) 1:2

„სტიაუა“ (რუმინეთი) — „ომონია“ (კიპროსი) 3:1

თასების თასი

მერვედფინალი, I ტური

„რეალი“ (სან-სებასტიანი, ესპანეთი) — „დინამო“ (მინსკი) 1:1

„ჰააგა“ (ჰოლანდია) — „იანგ ბოისი“ (შვეიცარია) 2:1

„ვლაჭნია ჭკოდრა“ (ალბანეთი) — „როვანიემი“ (ფინეთი) 0:1

ოფი (საბერძნეთი) — „ატალანტა“ (იტალია) 1:0

„კალმარი“ (შვეცია) — „სპორტინგი“ (პორტუგალია) 1:0.

„ჰამბურგი“ (გფრ) — „აიაქსი“ (ჰოლანდია) 0:1

„შეხელენი“ (ბელგია) — „სენტ-მირენი“ (შოტლანდია) — 0:0

UEFA ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲩᲐᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

ᲣᲔᲤᲐ-Ს ᲗᲐᲡᲘ

ᲛᲔᲗᲔᲥᲕᲡᲛᲔᲢᲔᲓᲔᲤᲘᲜᲐᲚᲘ, I ᲢᲣᲠᲘ

„ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ“ (ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ) — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ᲛᲝᲡᲙᲕᲐ) 2:0

„ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲘᲐ“ (ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ, ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ) — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) 1:2

„დანდი იუნაიტედი“ (შოტლანდია) — „ვიტკოვიცე“ (ჩეხოსლოვაკია) 1:2

„ბრიონდბიუ“ (დანია) — „სპორტული“ (რუმინეთი) 3:0

„ინტერი“ (იტალია) — „ტურუნ პალოსეურა“ (ფინეთი) 0:1

„გიმარაეში“ (პორტუგალია) — „ბეევერენი“ (ბელგია) 1:0

„მილანი“ (იტალია) — „ესპანიოლი“ (ესპანეთი) 0:2

„ვისმუტი“ (გდრ) — „ფლიამურტარი“ (ალბანეთი) 1:0

„აბერდინი“ (შოტლანდია) — „ფეიენოორდი“ (ჰოლანდია) 2:1

„შაკიში“ (პორტუგალია) — „ჰონვედი“ (უნგრეთი) 1:2

„უტრეხტი“ (ჰოლანდია) — „ვეერონა“ (იტალია) 1:1

„ბორუსია“ (დორტმუნდი, გფრ) — „ველეჟი“ (იუგოსლავია) 2:0

„ტულუზა“ (საფრანგეთი) — „ბაიერი“ (ლევერკუზენი, გფრ) — 1:1

„პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი)— „იუვენტუსი“ (იტალია) 1:0.

„ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) — „ბრიუგე“ (ბელგია) 3:1.

სამივე ტურნირის საპასუხო მატჩები შედგება 4 ნოემბერს.

ᲡᲐᲛᲗᲐ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრების ტრადიციული ტურნე აშშ-ში წლეულს სხვაგვარად დაიწყო. გუშინ შედგა ამ ღონისძიების თავისებური პრელიუდია, ე. წ. სამთა ტურნირი ორი პროფესიონალური კლუბის — მილანის „ტრეისერის“ (იტალია), „მილუოკი ბაკსის“ (აშშ) და საბჭოთა კავშირის ნაკრების მონაწილეობით.

მილანელი კალათბურთელების საერთაშორისო ავტორიტეტზე საუბარი ზედმეტად მიგვაჩნია, ამ პოპულარული კოლექტივის წარმატებები საყოველთაოდაა ცნობილი. რაც შეეხება „მილუოკი ბაკსს“ იგი პროფესიული ლიგის ნბა-ს ერთ-ერთ ძლიერ გუნდად ითვლება. ჩვენი ქვეყნის ნაკრები ასეთ უჩვეულო სიტუაციაში იწყებს ამერიკულ ტურნეს.

გუშინ გაიმართა სამთა ტურნირის პირველი მატჩი, რომელშიც ერთმანეთს „ტრეისერი“ და „მილუოკი ბაკსი“ შეხვდნენ. ჩვენი გუნდი პირველ მატჩს 24 ოქტომბერს ჩაატარებს „ტრეისერთან“, შეორე დღეს, 25 ოქტომბერს კი ამერიკელ შეერთებული შტატების პროფესიულ კლუბთან ითამაშებს.

საბჭოთა ნაკრები შეერთებულ შტატებში ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა: ცენტრალური თავდამსხმელები — ა. ბელოსტენი („სტროიტელი“), ს. გრიშაევი („სპარტაკი“); ვ. პანკრაშკინი, ვ. გობოროვი (ორივე — ცსკა); განაპირა თავდამსხმელები — ა. ვოლკოვი, ს. ტარაკანოვი, დ. მინაევი (ყველა — ცსკა), ვ. ტიხონენკო (ასკ, ალმა-ათა), მცველები — შ. მარჩიულენისი („სტატიბა“), ვ. ხომიჩუსი, რ. კურტინაიტისი (ორივე — „ყალგირისი“), ტ. სოკი („კალევი“), ვ. ვალტერსი (ვეფ-ი). გუნდს მწვრთნელად თან ახლავს ა. გომელსკი და ი. ედუშკო.

ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲝ

სსრკ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმს 22 ოქტომბერს უნდა განეხილა ლანჩხუთის „გურიისა“ და ხარკოვის „მეტალისტის“ ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მატჩის შემდეგ მომხდარი სერიოზული დარღვევების საკითხი.

იმასთან დაკავშირებით, რომ მოსკოვში საფრენოსნო ამინდი არაა და მხარეთა წარმომადგენლები სხდომის დღისთვის ვერ ჩავიდნენ, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმს განხრახული აქვს საკითხი განიხილოს დღეს, 24 ოქტომბერს.

ᲓᲦᲔᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲐ!

მინიფეხბურთში უბნებს შორის თბილისის პირველობაზე დღეს სპორტის სასახლეში გაიმართება ფინალური შეხვედრები. III ადგილისთვის დავას გადაწყვეტს ვაკისა და დიდუბის გუნდების შეხვედრა. დასაწყისი 18 საათზე და 30 წუთზე. ქალაქის ჩემპიონი კი საბურთალო — I და ოქროს უბნის შეხვედრაში გამოვლინდება. დასაწყისი 20 საათზე.

ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲣᲚᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სპორტსახკომი და ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია თბილისსა და რუსთავში ატარებენ პერსპექტიულ ფეხბურთელთა ტრადიციულ შესარჩევ ტურნირს, რომელშიც მონაწილეობენ საქართველოს II ლიგის ოსტატთა გუნდების ნაკრები, საქართველოს ჩემპიონატის აღმოსავლეთ და დასავლეთ რაიონების ნაკრები გუნდები და თბილისის ახალგაზრდული ნაკრები.

ტურნირი დაიწყო გუშინ. დღეს რუსთავის „მეტალურგის“ სტადიონზე 16 საათზე ერთმანეთს შეხვდებიან II ლიგის ნაკრები და თბილისის ახალგაზრდული გუნდი, კვირას კი ამავე დროს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე ითამაშებენ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ნაკრები კოლექტივები.

ᲝᲣᲜᲘᲝᲠᲗᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲩᲘᲚᲘᲡ 4 ქალაქში მიმდინარეობს იუნიორ ფეხბურთელთა (ასაკი — 20 წლამდე) მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობენ შემდეგი გუნდები: „ა“ ჯგუფი — იუგოსლავია, ავსტრალია, ჩილი, ტოგო; „ბ“ ჯგუფი — ბრაზილია, ნიგერია, იტალია, კანადა; „ც“ ჯგუფი — გდრ, შოტლანდია, კოლუმბია, ბახრეინი; „დ“ ჯგუფი — ბულგარეთი, გფრ, აშშ, საუდის არაბეთი.

გთავაზობთ პირველ შეხვედრათა შედეგებს: იუგოსლავია — ჩილი 4:2, ავსტრალია — ტოგო 2:0, იუგოსლავია — ავსტრალია 4:0, ჩილი — ტოგო 3:0, იტალია — კანადა 2:2, ბრაზილია — ნიგერია 4:0, იტალია — ბრაზილია 1:0, შოტლანდია — გდრ 2:1, კოლუმბია— ბახრეინი 1:0, გდრ — კოლუმბია — 3:1, ბულგარეთი — აშშ 1:0, გფრ — საუდის არაბეთი 3:0, აშშ — საუდის არაბეთი — 1:0.

ᲡᲐᲡᲢᲐᲠᲗᲝ ᲡᲘᲣᲠᲞᲠᲘᲖᲔᲑᲘ

დაიწყო იტალიის, ესპანეთის და იუგოსლავიის ჩემპიონატები კალათბურთში. სტარტმა ყურადღება მიიპყრო რამდენინე მატჩის სენსაციური შედეგით დამთავრების გამო.

მოულოდნელი იყო ლიუბლიანაში ზაგრების „ციბონას“ დამარცხება უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულ „ოლიმპიასთან“ — 78:83. პირველ ტურში წაიფორხილა ქვეყნის ჩემპიონმა ბელგრადის „პარტიზანმაც“ — წააგო „ცრვენა ზვეზდასთან“ — 85:95. სამაგიეროდ, წარმატებით აიღეს სტარტი სპლიტის „იუგოპლასტიკაძ“ და „შიბენკამ“, რომლებიც ამ ბოლო დროს ჩრდილში იდგნენ. მათ სტარტზე ორ-ორი გამარჯვება მოიპოვეს და ახლა ლიდერები არიან.

სენსაციურად დაიწყო ესპანეთის ჩემპიონატიც. ქვეყნის ჩემპიონს „ბარსელონას“ უკვე პირველ ტურში ნაკლებად ცნობილ კლუბ „ფორუმა ფილატელიკოსთან“ მოეცარა ხელი — 71:73. როგორც ჩანს, ეს კლუბი არ ხუმრობს, ყოველ შემთხვევაში, ჩემპიონატის სტარტზე კიდევ ერთი სიურპრიზი შეჭოგვთავაზა — მესამე ტურში „კაი სარაგოსას“ სძლია (75:73).

იტალიის ჩემპიონატზე მსგავსი არაფერი მომხდარა, ფავორიტებმა დაგეგმილი გამარჯვებები მოიპოვეს, თუმცა ზოგიერთ მათგანს ძალიან ძნელი ბრძოლა გადახდა: „ენიჰემ“—„ტრეისერი“ 92:93, „არეჭსონსი“ — „ჰიტაში“—92:89,, „ბანკო და რომა“ — „დივარესე“ — 97:91.

ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲔᲜ

გაიმართა ევროპის კალათბურთელ ქალთა საკლუბო ტურნირების მორიგი მატჩები.

ლენინგრადის „სპარტაკმა“ ლილიან რონკეტის თასის გათამაშების მეორე მატჩიც მოუგო ბუდაპეშტის უნივერსიტეტის გუნდს მისსავე მოედანზე — 103:79 (54:37). ორი მატჩის ჯამში ლენინგრადელებმა გათამაშების მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს.

ამავე ტურნირში გამოდის კიევის „დინამო“. მან მეორე მატჩში უნგრეთის „ვოშუტოში“ (ქალაქი პეჩი) დაამარცხა — 97:56 (46:38) და განაგრძობს ასპარეზობას.

ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ ᲓᲐ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ...

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. 24 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. დილის ტანვარჯიში— **9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **9.20 (2);** სპორტული პროგრამა: 1. ცხენოსანთა საკავშირო შეჯიბრება (გადმოცემა თბილისიდან), 2. მსოფლიო ჩემპიონატი ტანვარჯიშში (გადმოცემა ჰოლანდიიდან) — **20.15 (2);** მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში — **20.55 (1);** მსოფლიო ჩემპიონატი ტანვარჯიშში — **0.05.**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. 24 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. სპორტული პროგრამა — „45 წუთი“ — **21.10.**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲓᲘᲝ. 24 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში. პირველი ლიგა — **21.30.**

ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ ᲙᲐᲜᲐᲓᲐᲨᲘ

მომავალი წლის დამდეგს დიდი საჭადრაკო ფესტივალი გაიმართება კანადის ქალაქ სენტ-ჯონსში. მთავარი, რა თქმა უნდა, პრეტენდენტ ვაჟთა მატჩები იქნება. როგორც ვიუწყებოდით, კანადაში თითხმეტივე პრეტენდენტი ითამაშებს. გარდა ამისა, ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს ფესტივალის პროგრამაში ჩართონ ორი საერთაშორისო ტურნირი და რამდენიმე „ღია“ შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობის მიღების უფლება ყველას ექნება — დიდოსტატებსაც და დამწყებ მოჭადრაკეებსაც. ამ დღეებში კანადაში ჩატარდება პირველი ოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატი „ბლიცში“, რომელშიც მონაწილეობის სურვილი გამოთქვა მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა— იგი სენტ-ჯონსში ერთდროული თამაშის სეანსების გამართვას აპირებს. კასპაროვის გარდა, კანადის ფესტივალზე ჩამოსვლა სურთ გამოჩენილ დიდოსტატებს ანდრეი სოკოლოვს, არტურ იუსუპოვს, რაფაელ ვაჰანიანს, იან ტიმანს, ნაიჯელ შორტს, ჯონათან სპლიმენს, დიულა საქსს, იასერ სეირავანს, კევინ სპრაგეტს...

გორგოლაჭებიან ფიგურებზე ამხედრებულმა ამ ხუთეულმა 5 ათას კილომეტრზე მეტი მანძილი განვლო. მრბოლებმა სტარტი მონაკოში აიღეს 13 ივლისს, შემდეგ ესტუმრნენ იტალიას, ტუნისს, ალჟირს, მაროკოს, ესპანეთს და პარიზში დაამთავრეს რბოლა. ეს მარათონი ჩატარდა იუნესკოს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საერთაშორისო ფონდის თაოსნობით.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔ: „გორგოლაჭებიანი კვინტეტი“ პარიზის ქუჩებში.

აფპ-საკადესის ტელეფოტო.

ᲔᲡ ᲯᲔᲠ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲐ

ინგლისის ქალაქ ბრაიტონში დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. პირველ წრეში წარმატებას მიაღწია ლეოველმა ლარისა სავჩენკომ, რომელმაც სამ პარტიაში ფრანგი კატრინ ტანვეე დაამარცხა, თუმცა პირველი ხელი წაგო — 3:6, 6:3, 6:2.

პირველ წრეში მოულოდნელი არაფერი მომხდარა. 17 წლის არგენტინელმა, მსოფლიოს მეექვსე ჩოგანმა გაბრიელა საბატინიმ დაძაბულ ბრძოლაში აჯობა ამერიკელ ბეტსი ნეიდელსენს — 3:6, 6:3, 6:4. ჩეხოსლოვაკელმა ჰელენა სუკოვამ სასტარტო შეხვედრა შედარებით ადვილად მოიგო — დაამარცხა ინგლისელი ჯოან დიურიე — 6:3, 6:3.

ᲚᲘᲜ ᲙᲝᲙᲡᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ლინ კოკსი ოკეანეს პირველად 14 წლის ასაკში შეებრძოლა. მისი მარათონული ცურვის მარშრუტები წყნარ, ატლანტიკისა და ინდოეთის ოკეანეებზე გადიოდა. ერთხელ ქალიშვილმა მაგელანის სრუტე გადაცურა, ისლანდიის სანაპიროების ხშირი სტუმარი იყო, ბოლოს კი ძალა ბერინგის სრუტის წყლებში სცადა, რომლის საშუალო ტემპერატურა 6 გრადუსზე მაღლა იშვიათად ადის.

ექიმების მტკიცებით ლინ კოკსის ყოველი გაცურვა უნიკალური სამედიცინო ექსპერიმენტია. მას ამიტომაც დაყვება მუდამ კვალიფიციური მედპერსონალი. თვითონ სპორტსმენს კი მიაჩნია, რომ მშვიდობიანი საქმეს ემსახურება. ასეა თუ ისე კოკსმა თავისი ბოლო გამარჯვებით მთელი მსოფლიო აალაპარაკა.

8 აგვისტოს ადრე დილით იგი მცირე დიომიდის (აშშ) კუნძულიდან რატმანოვის (სსრ კავშირი) კუნძულისკენ „გაემგზავრა“. წყლის ტემპერატურა 5-იდან 7 გრადუსის ფარგლებში მერყეობდა. კოკსს მოაცილებდა ათამდე ნავი, რომელთაგან რამდენიმე, საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ წყალებთან მოახლოების შემდეგ უკან დაბრუნდა. დანარჩენებმა კი გაბედულ მოცურავესან ერთად მშვიდობიანად მიაღწიეს რატმანოვის კუნძულის ნაპირს. კოკსმა 7,5 კილომეტრის გაცურვას 2 საათი და 5 წუთი მოანდომა. ეს იმ დროს, როცა ექიმების მტკიცებით ასეთ ცივ წყალში ხუთი წუთი ყოფნაც სიცოცხლისთვის სახიფათოა.

ლინ კოკსის ფენომენს ამერიკელი მედიკოსები გულდასმით სწავლობენ, მის შესახებ უკვე დაიწერა რამდენიმე მეცნიერული მონოგრაფია.

ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗᲐ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲖᲔ

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ვეტერან მოჭადრაკეთა პირველობა, მასში თექვსმეტი მოჭადრაკე მონაწილეობდა.

12-12 ქულით I-II ადგილები გაიყვეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრის მასწავლებელმა ჯემალ ბიბინეიშვილმა და საქენერგოს ინჟინერმა რობერტ ფახლევანოვმა.

III ადგილი დაიკავა რესპუბლიკური საავადმყოფოს ნერვოპათოლოგმა, დოცენტმა რევაზ სიგუამ — 11,5.

გამარჯვებულები ჯ. ბიბინეიშვილი და რ. ფახლევანოვი მონაწილეობას მიიღებენ ჭადრაკის სასახლის პირველობის ფინალურ ტურნირში.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲓᲔᲜᲕᲔᲠᲘ. საბჭოთა კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა აშშ-ს ტურნეში მეხუთე ბოლო მატჩიც წააგო ადგილობრივ გუნდთან — 1:3 (6:15, 15:3, 10:15, 13:15).

ᲰᲐᲕᲐᲜᲐ. მეგობრული არმიების ძალოსანთა საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა შვიდი ოქროს მედალი დაიმსახურა.

რედაქტორი
Თ. ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ.

27-28-29-31 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ
1 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲗᲐ ᲨᲠᲘᲡ ᲢᲘᲢᲘᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲨᲝᲠᲘᲡ.

მონაწილეობენ: „ყალგირისი“ (კაუნასი), „სტატიბა“ (ვილნიუსი), „შახტიორი“ (დონეცკი), „სტროიტელი“ (კიევი), „კალევი“ (ტალინი), „დინამო“ (თბილისი).

თამაშების დასაწყისი 16 საათზე.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
წერილებისთვის — 380098
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

„ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 97-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხიშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08056